ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №6120531

ნომერი: AR1919561

თარიღი : 24.08.2022

გაცემის თარიღი : 14.09.2022

გაცნობის თარიღი : 14.09.2022

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ფორე მოსულიშვილი , N 15; ქალაქი თბილისი , ქუჩა ფორე მოსულიშვილი , N 15; ქალაქი თბილისი , ქუჩა ფორე მოსულიშვილი , N 15; ქალაქი თბილისი , ქუჩა ფორე მოსულიშვილი , N 15;

დამკვეთი-განმცხადებელი

- საბა ფავლენიშვილი პ/ნ 01020007386
- თბილისი, კ.ქუთათელაძის 19

ნომენკლატურა :

- I კლასი
- კონდიციონერისა და სავენტილაციო მილის მოწყობა
  ახალი მშენებლობა

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5, 51-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიეტქტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესის და პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული ქ.

თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების თანახმად.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენ მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია გაცნობებთშემდეგს:

თქვენს მიერ არ იქნა წარმოდგენილი სამსახურის მიერ მოთხოვნილი არსებული სიტუაციის ამსახველი ფოტომასალა ღობის შიდა მხრიდან გადათებული ხედის ფიქსაციით , თუმცა შეთანხმებული პროექტის დოკუმენტაციით და ამონაწერი საჯარო რეესტრიდან დგინდება ,რომ ამ ნაწილში ავტოფარეხში ჩასასვლელი პანდუსია მოწყობილი, ხოლო თითონ კონდიციონერის მოწყობა იგეგმება ავტოფარეხების კედელზე .
ამავე პროექტის მიხედვით დგინდება, რომ სავაჭრო ფართი არ ემიჯნება ავტოფარეხის ფართს , შესაბამისად მოცემულ ადგილზე კონდიციონერის დამონტაჟება აღნიშნული სავაჭრო ფართის საჭიროებისათვის ტექნიკურად ვერ განხორციელდება , ამასთან შესაძლოა შეაფერხოს ავტომანქანებისათვის განკუთვნილ პანდუსზე მანქანების მანევრირებაც .
ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით სამსახურს არ მიაჩნია მიზანშეწონილად ამ კონკრეტულ ადგილზე კონდიციონერის გარე აგრეგატის განთავსება, რისთვისაც საჭიროა თქვენს მიერ გამოიძებნოს სხვა ალტერნატიული . აღნიშნულისათვის წარმოსადგენი გექნებათ სხვა ადგილის ფოტოსურათები და შესაბამისად ახალი ადგილის ფოტომონტაჟი, რის შემდგომ შეძლებს სამსახური ახალი გარემოების გათვალისწინებით საკითხზე მსჯელობას და შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებას.
დაზუსტებული ინფორმაცია დამატებით წარმოსადგენი დოკუმენტაციის შესახებ, გეცნობებათ მითითებული რეკომენდაციის გათვალისწინებით ატვირთული დოკუმენტაციის განხილვის შემდგომ, კანონით დადგენილ ვადაში.
თქვენ გეძლევათ 15დღიანი ვადა მითითებული ხარვეზების გამოსასწორებლად. თუ დადგენილ ვადაში განმცხადებელი არ წარმოადგენს შესაბამის დოკუმენტაციას აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.